“ენერგო-პრო” ჯგუფი

მიწით სარგებლობა და არანებაყოფლობითი განსახლება

2024

1. შესავალი

„ენერგო-პროს“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ჰიდროენერგეტიკის სექტორი. ვამუშავებთ ჰიდროელექტროსადგურებს ევროპაში, შავი ზღვის და კავკასიის რეგიონში, ვაფართოებთ ოპერაციებს სამხრეთ ამერიკაში. ვმუშაობთ ელექტროენერგიის განაწილების და ენერგიით ვაჭრობის მიმართულებით, ვახდენთ გამანაწილებელი ქსელების ოპერირებას ბულგარეთსა და საქართველოში.

კომპანია დაარსდა 1994 წელს, ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ სვიტავიში. ეკონომიკური განვითარების გარდამავალ პერიოდში, კომპანია მონაწილეობდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ჰიდროენერგეტიკის მოდერნიზაციასა და რეაბილიტაციაში.

მრავალეროვნული ჯგუფის „ენერგო-პროს“ ერთ-ერთი წევრია წყლის ტურბინების მწარმოებელი სლოვენიური კომპანია „Litostroj Power d.o.o. Litostroj Engineering a.s.“, რომელიც რეგისტრირებულია ჩეხეთის რესპუბლიკაში და ორიენტირებულია კვლევით, დაპროექტების და საინჟინრო მიმართულებებზე.

„ენერგო-პროს“ მიზანია ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და იმ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობას და დაცვას, სადაც ჩვენი პროექტები ხორციელდება. ვათვითცნობიერებთ, რომ ჩვენს მიერ დღეს დანერგილი პოლიტიკა და მეთოდები განაპირობებს არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მომავალი თაობების ცხოვრებასაც. შესაბამისად, ვთვლით, რომ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში აუცილებელია მდგრადობის საკითხების ინტეგრირება.

„ენერგო-პრო“ იცავს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მდგრადობის პოლიტიკას და გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტურობის სტანდარტებს, კერძოდ, შესრულების მე-5 სტანდარტს - „მიწით სარგებლობა და არანებაყოფლობითი განსახლება“.

2. პოლიტიკის მიზანი და ამოცანები.

ამ პოლიტიკის მიზანია მიწით სარგებლობის და არანებაყოფლობითი განსახლების კუთხით ჩვენი ვალდებულებებისა და მოვალეობების განსაზღვრა და დემონსტრირება.

ზოგადი მიზნები:

- მიწით სარგებლობასთან და არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებული რისკების მართვა.
- პროექტის შედეგად, მოსახლეობაზე ზემოქმედების პრევენცია. თუ პრევენცია შეუძლებელია, ზარალის მინიმუმამდე შემცირება და ანაზღაურება.
- საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მდგრადობის პოლიტიკის, ეფექტურობის სტანდარტებისა და განსახლების რეგულაციების დაცვა.
- მოსახლეობასთან უთანხმოებების პრევენცია ან/და მინიმუმამდე შემცირება.
- საზოგადოებასთან და პროექტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობის დამყარება და შენარჩუნება.
- ინფორმირება, რომ საარსებო წყაროების აღდგენა ხანგრძლივი პროცესია.
- კომპანიის ყველა ბიზნეს ერთეულის მიერ ამ პოლიტიკის პრინციპების დაცვა, მათ შორის დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე.

3. ეკონომიკური[1] და ფიზიკური[2] განსახლების პრინციპები

ეკონომიკური და ფიზიკური განსახლების კუთხით, ენერგო-პრომ დანერგა შემდეგი პრინციპები:

- განსახლების საკითხებზე პასუხისმგებელია უმაღლესი მმართველი ორგანო - „ენერგო-პროს“ დირექტორთა საბჭო.
- ამ პოლიტიკის განახლებაზე და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების კომიტეტი.
- განსახლების მართვისთვის გამოიყოფა საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსი.
- საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მდგრადობის პოლიტიკისა და ეფექტურობის/შესრულების სტანდარტების და შესაბამისი რეგულაციების დაცვა.
- პროექტით დაზარალებულ მოსახლეობასთან ურთიერთობა ადრეულ ეტაპზე.
- გამჭვირვალობა განსახლების საკითხებზე დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისას.
- პრევენციის პრინციპის გამოყენება, დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე.
- ბიზნეს ერთ ეულებმა უნდა მოამზადონ განსახლების სამოქმედო გეგმები, როდესაც არსებობს ეკონომიკური ან ფიზიკური გადაადგილების აუცილებლობა და განსახლება იძულებითია.[3] განსახლების სამოქმედო გეგმის დეტალები და სირთულე დამოკიდებულია პროექტის მასშტაბსა და ზემოქმედებაზე.
- საარსებო წყაროების აღდგენა ან/და გაუმჯობესება, პროექტით დაზარალებული მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, რაშიც შესაძლოა შედიოდეს გაუმჯობესებული აუცილებელი სერვისების და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას.
- მოვერიდოთ მკვიდრი მოსახლეობის კუთვნილ მიწაზე ზემოქმედებას; თუ ეს შეუძლებელია, გამოვიყენოთ „ნებაყოფლობითი, წინასწარი, ინფორმირებული თანხმობის“ პრინციპი. დაპროექტების ფაზაში ტექნიკურმა ჯგუფებმა დოკუმენტურად უნდა ასახონ და დააფიქსირონ ყველა საშუალება, რომელიც გამოიყენეს მკვიდრ მოსახლეობაზე ზემოქმედების პრევენციის მიზნით. მშენებლობის დაწყებაზე თანხმობას გასცემს გარემოს დაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.

---

[1] ქონების, ან ქონებაზე წვდომის დაკარგვა, რაც იწვევს შემოსავლის წყაროების, ან საარსებო საშუალებების დაკარგვას (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია), მათ შორის წვდომა ბუნებრივ რესურსებზე, მაგალითად ხე-ტყეზე, თევზჭერაზე და სხვ.

[2] ფიზიკური განსახლება, ან საცხოვრებლის დაკარგვა, პროექტისთვის მიწის შეძენის შედეგად.

[3] საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (PS5), პუნქტი ქ: „არანებაყოფლობითი განსახლება გულისხმობს როგორც ფიზიკურ გადაადგილებას (საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, ან საცხოვრებლის დაკარგვას), ასევე ეკონომიკურ გადაადგილებას (ქონების, ან ქონებაზე წვდომის დაკარგვას, რაც იწვევს შემოსავლის წყაროების ან საარსებო საშუალებების დაკარგვას) პროექტის ფარგლებში მიწის შეძენის ან/და მიწით სარგებლობის შედეგად. **განსახლება არანებაყოფლობითად ითვლება, როდესაც დაზარალებულ პირს არ აქვს უფლება უარი თქვან მიწის გაყიდვაზე ან მიწით სარგებლობაზე, რაც იწვევს ფიზიკურ ან ეკონომიკურ გადაადგილებას.** ეს ხდება შემდეგ შემთხვევებში: (i) კანონიერი ექსპროპრიაცია, ან მიწით სარგებლობის დროებითი ან მუდმივი შეზღუდვა; და (ii) შეთანხმებულ გარიგებებში, სადაც მყიდველს შეუძლია მიმართოს ექსპროპრიაციას, ან დააწესოს შეზღუდვები მიწით სარგებლობაზე, თუ გამყიდველთან შეთანხმება ვერ შედგება.“ **არანებაყოფლობითად ითვლება განსახლება, როდესაც მთავრობას შეუძლია მოახდინოს მიწის ექსპროპრიაცია**. განსახლება ნებაყოფლობითია, როდესაც მიწის შეძენა ხდება მოლაპარაკების შედეგად და არსებობს ნებაყოფლობითი მყიდველი / ნებაყოფლობითი გამყიდველი.

4. პოლიტიკით განსაზღვრული ვალდებულებები

ამ პოლიტიკაში წარმოდგენილი მოთხოვნების მიზანია პროექტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაზე ზემოქმედების პრევენცია ან/და მინიმუმამდე შემცირება და „ენერგო-პროსთვის“ რისკების აცილება. მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა ბიზნეს ერთეულისთვის, რომლის საქმიანობაც ზემოქმედებას ახდენს მიწაზე და სხვა ქონებაზე, მიმდინარე ან ახალ პროექტებში, დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში.

I. ზემოქმედების პრევენცია

არანებაყოფლობითი განსახლება იწვევს პროექტით დაზარალებულ მოსახლეობაზე სხვადასხვა უარყოფით ზემოქმედებას. შესაბამისად, ჩვენი პრინციპების თანახმად, ჩვენი ბიზნეს ერთეულები პროექტებს დაგეგმავენ ისე, რომ მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ მოსახლეობაზე ზემოქმედება. დაფიქსირდება ზემოქმედების პრევენციის და მინიმუმამდე შემცირების მხრივ მიღებული ყველა ზომა.

II. დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა

პროექტით დაზარალებულ მოსახლეობასთან ურთიერთობა დაიწყება ადრეულ ეტაპზე. ყველა პროექტში, რომელიც ითვალისწინებს განსახლებას, მომზადდება დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის გამჭვირვალე, ადგილობრივ გარემოებებზე მორგებული და ინკლუზიური გეგმა. კომუნიკაციის და საინფორმაციო სესიები შეიძლება დაიგეგმოს საერთო სესიების, ფოკუს ჯგუფების შეხვედრების, ან ინდივიდუალურ ფორმატში, პროექტის ზემოქმედებისა და მოსახლეობისთვის სასურველი კონსულტაციის მეთოდის მიხედვით. მოსახლეობა გაეცნობა საჭირო ინფორმაციას და შესაძლო ზემოქმედებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არასწორი მოლოდინების შექმნის პრევენციას. ჩვენი მიზანია გამჭვირვალე და ინფორმირებული დიალოგი „ენერგო-პროს“ და დაზარალებულ თემებსა და მოსახლეობას შორის.

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობაში გათვალისწინებულია მოწყვლად ჯგუფებთან კონსულტაციის სპეციალური ზომები.

III. საჩივრების განხილვის მექანიზმი

პროექტის მასშტაბის მიხედვით, შემუშავდება განსახლებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის მექანიზმი. მცირე მასშტაბის განსახლების შემთხვევაში, პროექტში შეგვიძლია გამოვიყენოთ ბიზნეს ერთეულის საჩივრების მექანიზმი. სხვა შემთხვევაში, რეკომენდებულია მომზადდეს კონკრეტულად განსახლების საკითხებზე საჩივრების განხილვის მექანიზმი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულების, ქალების და მკვიდრი მოსახლეობის წვდომას საჩივრების მექანიზმზე.

IV. მოწყვლადი ჯგუფები

თითოეულ პროექტში, რომელიც ითვალისწინებს განსახლებას, გამოვლინდება მოწყვლადი ჯგუფები. მოწყვლადი ჯგუფის განმარტება კონკრეტულ ადგილზეა დამოკიდებული.

მოწყვლად ჯგუფში შეიძლება შედიოდნენ ქალები, ხანდაზმულები, ახალგაზრდები, შეზღუდული ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირები, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, უკიდურესად ღარიბი ოჯახები, არაფორმალური დასახლებები, მარგინალიზებული უმცირესობების ჯგუფები, დევნილები, ეკომიგრანტები, ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული მკვიდრი მოსახლეობა და სხვ. მოწყვლადი ჯგუფები გამოვლინდებიან გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში და განახლდება საჭიროებისამებრ.

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის პროცესში უნდა შემუშავდეს სპეციალური ღონისძიებები, მოწყვლადი ჯგუფების მოსაზრებების გასათვალისწინებლად. გარდა ამისა, შესაძლოა საჭირო გახდეს სპეციფიკური ზომები განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებისა და განხორციელების დროს.

V. განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება

ყველა ახალ ან მიმდინარე პროექტში, რომელიც საჭიროებს გაფართოებას და იწვევს არანებაყოფლობით განსახლებას, მომზადდება განსახლების სამოქმედო გეგმები. განსახლების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად და განსახლების პროცესის სამართავად გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მდგრადი განვითარების პოლიტიკა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ეფექტურობის/შესრულების მე-5 სტანდარტი მიწის შეძენის და არანებაყოფლობითი განსახლების შესახებ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მე-5 სახელმძღვანელო მითითება მიწის შეძენის და არანებაყოფლობითი განსახლების შესახებ და 2024 წლის „კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო; მიწის შეძენა და არანებაყოფლობითი განსახლება“ (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია - IFC). პროექტები, რომლებსაც სურთ ჰიდროენერგეტიკის მდგრადობის კავშირის (HSA) აკრედიტაციის მიღება, ასევე გამოიყენებენ HSA-ს „განსახლების მართვის სახელმძღვანელოს“. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიხედვით, განსახლების სამოქმედო გეგმა შეიძლება იყოს 4-5 გვერდიანი, ორი ან სამი ოჯახის განსახლების შემთხვევაში, ან 150 ან მეტ გვერდიანი, რამდენიმე ოჯახის განსახლების, რთული საარსებო წყაროების და მოწყვლადი ან მკვიდრი მოსახლეობის შემთხვევაში.

ჩვეულებრივ, განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადების და დაგეგმვის პროცესში აუცილებელია:

ა) სკოპინგის ფაზა და საწყისი ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი ხელისუფლებისა და დაზარალებული მოსახლეობისთვის.
ბ) თანამშრომლობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჯგუფთან. პრიორიტეტი ენიჭება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჯგუფთან სინერგია და აქტივობების კოორდინაცია.
გ) დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის მთავრობასთან ურთიერთობა.
დ) ტექნიკურ ჯგუფთან თანამშრომლობა, ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებისთვის და პროექტის ზემოქმედების არეალის განსაზღვრისა და საბოლოო ფორმირებისთვის.
ე) სამართლებრივი ჩარჩოს შესწავლა. ეს პოლიტიკა დაცული უნდა იყოს ყველა პროექტში. თუ არსებობს განსხვავებები სამართლებრივ მოთხოვნებსა და ამ პოლიტიკას შორის და მთავრობა მოითხოვს ექსპროპრიაციას ან განსახლებას, პროექტი მოამზადებს განსახლების დამატებით სამოქმედო გეგმას, რათა აღმოიფხვრას განსხვავებები და

დაკმაყოფილდეს ამ პოლიტიკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მოთხოვნები.

ვ) პროექტით დაზარალებული პირების აღწერა.

ზ) პროექტით დაზარალებული პირების მიერ კომპენსაციის მიღების უფლებების მატრიცის მომზადება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია შეთავაზებული კომპენსაციის პაკეტების, დაზარალებული პირების კატეგორიების, საარსებო წყაროების აღდგენის უფლებებისა და შეღავათების შესახებ.

თ) „დასრულების თარიღის" დადგენა და მხარეებისთვის გაცნობა. „დასრულების თარიღი" არის თარიღი, რომლის შემდგომაც ახალი ნაგებობები, ხე-მცენარეები, მოსავალი და სხვა უძრავი აქტივები აღარ იქნება გათვალისწინებული კომპენსაციის გამოთვლისას. ეს აუცილებელია, რათა არ მოხდეს თვითნებური დასახლება ან მშენებლობა კომპენსაციის მიღების მიზნით (2024 წლის „კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო"; მიწის შეძენა და იძულებითი განსახლება (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია)). დასრულების თარიღზე სრულდება აქტივების შესწავლა. თუ დასრულების თარიღის დაწესება მოქმედი რეგულაციებით არ არის გათვალისწინებული, საჭირო გახდება სამთავრობო უწყებებთან გაცილებით ადრე კოორდინაცია, ნებართვის მისაღებად. დასრულების თარიღის დაწესება შესაძლოა ზოგიერთ იურისდიქციაში მგრძნობიარე საკითხი იყოს და ამ პროცესში აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა.[4]

ი) ქონების დეტალური შესწავლა.

კ) განსახლების ადგილების იდენტიფიცირება ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობასთან კოორდინაციით, ან/და „მასპინძელი თემების" გამოვლენა, თუ შესაძლებელია.

ლ) ქონების შეფასება და კომპენსაციის მოცულობა. პროექტის ფარგლებში, შესაძლოა საჭირო გახდეს საბაზრო კვლევის ჩატარება, თუ ზარალის ანაზღაურების ტარიფები არ არის განახლებული. კომპენსაციის ტარიფები გამოითვლება სრული ჩანაცვლების ღირებულების საფუძველზე.[5]

მ) განსახლების გრაფიკი.

ნ) განსახლების ბიუჯეტი.

ო) განსახლების სამოქმედო გეგმის გამოქვეყნება.

VI. საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა

საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა მომზადდება იმ პროექტებში, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მიწაზე, ხე-მცენარეებზე, კულტურებზე და ადამიანთა საარსებო წყაროებზე. გეგმაში აღწერილი იქნება ზომები, რომლებიც პროექტის ფარგლებში გატარდება საარსებო წყაროების აღსადგენად. გეგმა მოიცავს საარსებო წყაროების აღდგენის უფლებებს, იმ პირთა კატეგორიებს, რომლებიც შეძლებენ გეგმით სარგებლობას, საარსებო წყაროების

[4] რეკომენდებულია პროექტებში დადგინდეს „დასრულების თარიღი"; ეს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის და ჰიდროენერგეტიკის მდგრადობის კავშირის მოთხოვნაა; თუმცა, თუ დასრულების თარიღის განსაზღვრა არ არის შესაძლებელი, პროექტებმა უნდა დააფიქსირონ ყველა მიღებული ზომა ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მათ შორის მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრების ოქმები, კონსულტაციები ექსპერტებთან და სხვა პროექტებთან შედარება.

[5] ჩანაცვლების ღირებულება არის ქონების საბაზრო ღირებულება პლუს ტრანზაქციის ხარჯები. შეფასების ამ მეთოდის გამოყენებისას, არ არის გათვალისწინებული ნაგებობების და ქონების ამორტიზაცია. საბაზრო ღირებულება არის ღირებულება, რომელიც საჭიროა დაზარალებული პირებისთვის დაკარგული ქონების მსგავსი ღირებულების ქონებით ჩანაცვლებისთვის. ჩანაცვლების ღირებულების დადგენის მეთოდი დოკუმენტურად უნდა აისახოს და დაფიქსირდეს განსახლებისა ან/და საარსებო წყაროების აღდგენის გეგმებში (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, 2021).

აქტივობების დეტალებს, გრაფიკს, ბიუჯეტს და სხვ.

ჩვეულებრივ, ფიზიკური განსახლების გამომწვევ პროექტებში მომზადდება განსახლების სამოქმედო გეგმა, ხოლო პროექტებში, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ საარსებო წყაროებზე (ეკონომიკური განსახლება), მომზადდება საარსებო წყაროების აღდგენის გეგმა.

ორივე ტიპის ზემოქმედების შემთხვევაში, შეიძლება მომზადდეს განსახლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს საარსებო წყაროების აღდგენასაც, ან მომზადდეს ცალკე დოკუმენტების სახით.

VII. ფინანსური და ადამიანური რესურსი

განსახლების დაგეგმვა მოითხოვს სპეციფიკურ უნარებს და გამოცდილებას. განსახლების მასშტაბისა და მოცულობის მიხედვით, განსახლების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად კომპანიამ შეიძლება საკუთარი პერსონალის გარდა ისარგებლოს კვალიფიციური კონსულტანტების მომსახურებითაც. როგორც წესი, საჭიროა გამოცდილება სამართლებრივ, სოციალურ, ტექნიკურ, მცირე ბიზნესის საარსებო წყაროების, აგრონომიულ, ლოგისტიკურ და მშენებლობის საკითხებში. საკმარისი ფინანსური რესურსები გამოიყოფა კონსულტანტების დაქირავების და განსახლების პროცესის დაგეგმვისთვის.

კვალიფიციურ პერსონალს, მათ შორის სოციალური საკითხების ექსპერტებს საჭიროებს განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაც. თუ საკუთარ პერსონალში ვერ მოიძებნა შესაბამისი კადრები განსახლების სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად, მოხდება კონსულტანტების დაქირავება. თუმცა, გეგმის განხორციელების ფაზაში პრიორიტეტი ენიჭება კვალიფიციური პერსონალის გამოყოფას.

VIII. განრიგი

პროექტებში უნდა გამოიყოს საკმარისი დრო განსახლების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად და განსახორციელებლად. დროებითი განსახლების პრევენცია შესაძლებელი გახდება პროექტის სათანადოდ დაგეგმვით და განსახლების პროცესის ინტეგრირებით პროექტის საერთო დაგეგმვასა და გრაფიკში. დროებითი განსახლება იწვევს მოსახლეობის იმედგაცრუებას, ნდობის დაკარგვას და უმეტეს შემთხვევაში საჩივრებს.

IX. განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება

განსახლების პროცესი, სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითვალისწინებდეს კომპენსაციის ხელშეკრულებების გაფორმებას დაზარალებულ თემებთან და პირებთან, კომპენსაციის გაცემას, საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ძირითადი სერვისების უზრუნველყოფას, გზების მშენებლობას, საარსებო წყაროების პროგრამების, მაგალითად მცირე ბიზნესის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო პროგრამებს, თევზჭერის პროგრამებს და მრავალ სხვა პროგრამას.

როგორც წესი, ეს ფაზა ხორციელდება პროექტის პერსონალის მიერ და საჭიროების შემთხვევაში ხდება კონსულტანტების დაქირავება. სამუშაო ჯგუფში შეიძლება შედიოდნენ

შესყიდვების, სოციალური, სამართლებრივი, სამშენებლო, აგრონომიული, მცირე ბიზნესის, მეცხოველეობის და სხვა დარგების სპეციალისტები. თუ პროექტის ფარგლებში საჭიროა ინფრასტრუქტურის და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ამ მიმართულებაზე პასუხისმგებლად უნდა გამოიყოს ბიზნეს ერთეულის ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენელი, გარემოს დაცვის და სოციალურ საკითხთა (ან მსგავს) განყოფილებასთან კოორდინაციით. განსახლების პროგრამის განმახორციელებელ სამუშაო ჯგუფებს შორის დაიგეგმება რეგულარული შეხვედრები, პროგრესის საკითხების განსახილველად.

X. მონიტორინგი და შეფასება

ყველა ბიზნეს ერთეულში უნდა არსებობდეს მონიტორინგის და შეფასების პროცესები, განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების შესაფასებლად. მონიტორინგისა და შეფასების ხარჯები გათვალისწინებული იქნება განსახლების სამოქმედო გეგმაში. განისაზღვრება ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლები. მონიტორინგი იწარმოებს ფიზიკური განსახლების დასრულების შემდეგაც, შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, ხოლო ეკონომიკური განსახლების შემთხვევაში, საარსებო წყაროების აღდგენის შემდეგ.

5. პოლიტიკის დოკუმენტის დაგზავნა

ეს დოკუმენტი განთავსებულია კომპანიის ვებსაიტზე, შედის საქმიანობის სტანდარტულ წესებსა და პირობებში და ხელმისაწვდომია კომპანიის ხელმძღვანელების, თანამშრომლების, კონტრაქტორების და ქვეკონტრაქტორებისთვის. პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, პოლიტიკა რეგულარულად გადაიხედება და განახლდება.

6. ძალაში შესვლა

პოლიტიკა ძალაში შედის 2024 წლის 30 ივლისიდან.